Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№25, ივლისი, 2023

ეთნოციდის პოლიტიკა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის, დნესტრისპირეთისა და ყირიმის მაგალითზე

თენგიზ ჯანანაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tengiz.jananashvili340@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

1944 წელს რაფაელ ლემკინმა ორი ტერმინი, გენოციდი და ეთნოციდი, დაამკვიდრა. პოლონელმა იურისტმა დიდი წვლილი შეიტანა ხალხის მასობრივი განადგურების ორგანიზებული დანაშაულის კვლევაში. 1970-იან წლებში ფრანგმა მეცნიერებმა რობერტ ჟოულინმა და პიერ კლასტრესმა სხვა ახსნა მოუძებნეს სიტყვა ეთნოციდს. მათ თანახმად, გენოციდი ადამიანს ფიზიკურად ანადგურებს, ხოლო ეთნოციდი, კულტურულად. მეცნიერები დღემდე დავობენ ამ ორი სიტყვის ზუსტ განმარტებაზე, თუმცა მოცემული ნაშრომი ჟოულინსა და კლასტრესის თეორიას დაეფუძნება.

2022 წელს დაწყებული რუსეთის უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრის ფონზე, გენოციდის თემა კვლავ აქტუალური გახდა. ოკუპანტები ებრძვიან მოწინააღმდეგეებს არა მარტო ფიზიკურად, არამედ კულტურულადაც. დაპყრობილ ტერიტორიებზე იკრძალება ენა, რელიგია, განათლება, უკრაინული ეროვნული სიმბოლიკა, იზღუდება გადაადგილების თავისუფლება და დღემდე მიმდინარეობს ბავშვთა დეპორტაცია. უკანასკნელი დანაშაული გახდა მთავარი განაჩენი ვლადიმერ პუტინისთვის, რომელიც მას ჰააგის სასამართლომ 2023 წლის 17 მარტს გამოუტანა. თუმცა კრემლის მხრიდან ეთნოსების კულტურის განადგურების პოლიტიკა არაა ახალი.

ნაშრომის მიზანია შესწავლილ იქნეს ეთნოციდის მთავარი მახასიათებლები და ის, თუ როგორ იყენებს მათ რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების მიმართ და განისაზღვროს თუ რატომ ახორციელებს კრემლი ამ პოლიტიკას. მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომის საკვლევი კითხვებია: როგორ იყენებს რუსეთი ეთნოციდის პოლიტიკას აფხაზეთის, დნესტრისპირეთისა და ყირიმის მიმართ? რა ძირითადი მსგავსება და განსხვავებაა უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე ეთნოციდის პოლიტიკას შორის?

საკვანძო სიტყვები: ეთნოციდი, კულტურული გენოციდი, აფხაზეთი, დნესტრისპირეთი, ყირიმი

შესავალი

ეთნოციდის პოლიტიკა ათასწლეულებს ითვლის. XX-XXI საუკუნეებში ეთნიკური ჯგუფების კულტურის განადგურება და იძულებითი ასიმილაციის მეთოდები კიდევ უფრო დაიხვეწა. დღეს მსოფლიო მომსწრეა იმისა, თუ როგორ ანადგურებს ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოში მცხოვრები ერის თვითმყოფადობასა და იდენტობას. საუბარია რუსეთის ფედერაციასა და მის პოლიტიკაზე მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის მიმართ.

2022 წლის 3 აპრილს მსოფლიომ იხილა თუ რა მოხდა ბუჩაში. ოკუპაციის პერიოდში რუსმა ჯარისკაცებმა 400-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დახოცეს (Gardner, 2022). მსოფლიო ლიდერები და პოლიტიკოსები უკრაინელების გენოციდზე ალაპარაკდნენ. რამდენიმე სახელმწიფომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები გენოციდად აღიარა (European Commission, 2022). სიმბოლურია, რომ ბუჩას ტრაგედიის დღეს, კრემლის მედიარესურს „რია ნოვოსტიზე“ გამოქვეყნდა ტიმოფეი სერგეიცევის სკანდალური სტატია „რა უნდა უქნას რუსეთმა უკრაინას?“ (Сергейцев, 2022). მასში ავტორი უკრაინული სახელმწიფოს გაუქმებასა და ერის იდენტობისა და კულტურის განადგურებისაკენ მოუწოდებს. სერგეიცევი მიიჩნევს, რომ საჭიროა უკრაინის დენაციონალიზაცია და დეუკრაინიზაცია (რადგან, მისი აზრით, პრაქტიკამ აჩვენა, რომ უკრაინა, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგა), ამის შემდეგ კი ახალი თაობების აღზრდა რუსული ღირებულებით უნდა მოხდეს. სტატიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მას განიხილავდნენ როგორც პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, ისე მეცნიერები. ამერიკელი ისტორიკოსი ტიმოთი სნაიდერის თანახმად, ამ სტატიით რუსეთმა თავისი გენოციდური მისწრაფებები გამოავლინა. ამ სტატიაში რუსეთმა, ალბათ, პირველად ხმამაღლა გააჟღერა თავისი მიზანი - ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები არასასურველი და არალოიალური ეთნიკური ჯგუფების კულტურისა და თვითშეგნების განადგურება, მათი იძულებითი ასიმილაცია (Snyder, 2022). თუმცა ეს პოლიტიკა 2022 წელს არ დაწყებულა. რუსეთი აგრძელებს ამ პოლიტიკას 1990-იანი წლების დასაწყისიდან. კულტურული გენოციდის პირველი მსხვერპლი აფხაზეთში მცხოვრები ქართველები და დნესტრისპირეთში მცხოვრები რუმინულენოვანი მოლდოველები იყვნენ. 2014 წელს, ყირიმის ანექსიის შედეგად, ეს პოლიტიკა უკრაინელებსა და ყირიმელ თათრებს შეეხო.

აფხაზეთი, დნესტრისპირეთი და ყირიმი სტატიის მთავარი საკვლევი რეგიონებია. მათი შერჩევა მოხდა შემდეგი მიზეზების გამო: 1) ბოლო საუკუნის განმავლობაში აღნიშნული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სუბიექტების დემოგრაფიული სურათი მკვეთრ ცვლილებას განიცდიდა; 2) საბჭოთა კავშირი და მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია კარგად იყენებდნენ ამ რეგიონებს თავისი გეოპოლიტიკური მიზნებისათვის და ცდილობდნენ მათი მეშვეობით სახელმწიფოების დესტაბილიზაციას; 3) აფხაზეთში, დნესტრისპირეთსა და ყირიმში ყველაზე კარგად გამოჩნდა კულტურის ის ასპექტები, რომელსაც ებრძვის დღეს რუსეთი. მართალია, მოსკოვის მიერ წარმოებული ეთნოციდის პოლიტიკა სხვა ოკუპირებულ ტერიტორიებზეც ფიქსირდებოდა, თუმცა სტატიაში მათ ნაწილობრივ შევეხებით.

ნაშრომის **მიზანია** შესწავლილ იქნას ეთნოციდის მთავარი მახასიათებლები და ის, თუ როგორ იყენებს მათ რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების მიმართ, შედარებულ

იქნეს საკვლევ რეგიონებში მიმდინარე ეთნოციდის პოლიტიკა, დადგინდეს ძირითადი მსგავება და განსხვავებები. განისაზღვროს თუ რატომ ახორციელებს კრემლი ამ პოლიტიკას. მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომის **საკვლევი კითხვებია:** როგორ იყენებს რუსეთი ეთნოციდის პოლიტიკას აფხაზეთის, დნესტრისპირეთისა და ყირიმის მიმართ? რა ძირითადი მსგავსება და განსხვავებაა უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე ეთნოციდის პოლიტიკას შორის?

მოცემული **კვლევის მთავარი ღირებულება და სიახლე** იმაში მდგომარეობს, რომ დაიხვეწა და სრულყოფილი სახე მიეცა ეთნოციდის მთავარ მახასიათებლებს; პირველად მოხდა აფხაზეთში, დნესტრისპირეთისა და ყირიმში მიმდინარე კრემლის ორგანიზებული დანაშაულის ეთნოციდის კუთხით შესწავლა და საკვლევი რეგიონების შედარებითი ანალიზი.

მეთოდოლოგია

სტატიის მომზადებისას გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები. შესწავლილ იქნა გენოციდსა და ეთნოციდთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, სტატიები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული დოკუმენტები. დამუშავებულია აფხაზეთში, დნესტრისპირეთსა და ყირიმში მიმდინარე ეთნოციდის პოლიტიკასთან დაკავშირებული ლიტერატურა, მედიაში გამოქვეყნებული სტატიები, ინტერნეტრესურსები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ (OSCE, United Nation, Human Right Watch) გამოქვეყნებული ანგარიშები, მეორადი წყაროები. რადგან ტერმინი ეთნოციდი სამეცნიერო და მედიასივრცეში არა არის კარგად დამკვიდრებული, საჭირო მასალის ძიებისას გამოიყენებოდა სიტყვები „კულტურული გენოციდი“, „შევიწროება“, „დევნა“, „შეზღუდვა“ და ა. შ. ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები, ექსპერტული შერჩევით: 1) ეთნოციდი აფხაზეთში - ვაჟა ლორთქიფანიძე, პოლიტოლოგი და დიპლომატი; 2) ეთნოციდი დნესტრისპირეთში - დმიტრი მორუზი, მოლდოვას ეთნიკური ურთიერთობების სააგენტოს გენერალური დირექტორი; 3) ეთნოციდი ყირიმში - ივანნა მაჩიტიძე, საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი.

აღნიშნული ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია ფრანგი მეცნიერების რობერტ ჟოულინისა (1970) და პიერ კლასტრესის (1974) ეთნოციდის კონცეფცია; გაეროს „მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ დეკლარაცია“ (1994) და იუნესკოს „სან-ხოსეს“ დეკლარაცია. აღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრულია ის ძირითადი კულტურული მახასიათებლები, რომელსაც ეთნოციდი მოიცავს.

აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა

ტერმინი გენოციდი პოლონელმა იურისტმა რაფაელ ლემკინმა (1900-1959) დაამკვიდრა. იგი გენოციდის შესახებ კონვენციის ინიციატორიც იყო. აღნიშნული დოკუმენტი გაერომ 1948 წელს მიიღო. ლემკინმა ტერმინი გენოციდი 1944 წელს ოკუპირებულ ევროპაში ნაცისტების პოლიტიკისა და თურქეთში სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის აღსაწერად გამოიყენა. პოლონელი იურისტი 1932-1933 წლებში უკრაინაში მომხდარ „ჰოლოდომორს“ ასევე გენოციდად აფასებდა (Lemkin,

Chapter IX: "Genocide", 2008, გვ. 79-95). რაფაელ ლემკინმა გენოციდის ეკვივალენტად ეთნოციდის ტერმინიც დაამკვიდრა. ამ ორი სიტყვის პირველი ნაწილი განსხვავებულია: genos (ადამიანი) და ethnos (ნაცია, ეთნიკური მიკუთვნილობა; cide - მკვლელობა), თუმცა ლემკინისეული გაგებით, მათ ერთი განმარტება ჰქონდათ და ეთნოსის განადგურებას აღნიშნავდა (Lemkin, 1944, p. 79). სიტყვა გენოციდი უფრო ფართოდ გავრცელდა და საერთაშორისო სამართალშიც დამკვიდრდა, მისი მონათესავე ტერმინი კი დაიჩრდილა (ABA, 2023). ამავე დროს, ლემკინმა ტერმინი კულტურული გენოციდი დაამკვიდრა, რაც ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის კულტურის განადგურებას გულისხმობდა.

1970-იან წლებში ეთნოციდმა სხვა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა. 1970 წელს ფრანგმა ეთნოლოგმა რობერტ ჟოულინმა (1928-1996) გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით „თეთრი სამყარო: შესავალი ეთნოციდში“. წიგნში ავტორი ვენესუელასა და კოლუმბიის საზღვარზე მცხოვრები ბარის ხალხის (ინდიელთა ტომი) ეთნოციდს ეხება. მისი თქმით, ეთნოციდს განსაზღვრავს მიზნები და არა საშუალება. ეს არის კულტურის, ხალხის ცხოვრების წესის სისტემური განადგურება. „გენოციდი კლავს ადამიანს მის „სხეულში“ (ფიზიკურად), ეთნოციდი კლავს მის „სულსა და კულტურას“. ეთნოციდის პრაქტიკა არის ასეთი: ბავშვების სისტემური გატაცება ანუ მშობლიური კულტურიდან მოწყვეტა (ეს ასპექტი განსაკუთრებით აქტუალურია უკრაინის შემთხვევაში), რელიგიური შევიწროება, იძულებითი შრომა, უარი კულტურულ ჩვევებსა და სოციალურ სტრუქტურაზე (Jaulin, 1970). მსგავს მოსაზრებას ავითარებდა ფრანგი ანარქისტი ანთროპოლოგი პიერ კლასტრესი (1934-1977). 1974 წელს მან გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ეთნოციდი“. ავტორის განმარტებით, ეთნოციდი პიროვნების არა ფიზიკურ, არამედ კულტურულ განადგურებას ეფუძნება. იგი მიმართულია „არასწორი“ განსხვავებულობების მოსპობისაკენ და ეთნოცენტრიზმის ელემენტს წარმოადგენს (Clastres, 1974, გვ. 101-110). ბ. საუტმანი ასევე ხაზს უსვამს იმ ასპექტს, რომ ეთნოციდი, გენოციდისგან განსხვავებით, არ უკავშირდება ადამიანის ფიზიკურ მკვლელობას (Sautman, 2003, გვ. 173-248).

ამგვარად, რობერტ ჟოულინმა და პიერ კლასტერსმა ტერმინს სხვა ინტერპრეტაცია მოუძებნეს, რომელიც ეთნიკური ჯგუფის კულტურის, იდენტობისა და ცხოვრების წესის სისტემურ განადგურებას გულისხმობს. შესაბამისად, კულტურა „კვდება“, ხოლო ხალხი ცოცხალი რჩება. ტერმინი კულტურული გენოციდი კი ეთნოციდის სინონიმია და ერთსა და იმავე შინაარსობრივ დატვირთვას ატარებს.

როგორც წესი, გენოციდის დროს თან კვდება ეთნოსის კულტურაც. როცა ადამიანი ფიზიკურად ნადგურდება, მისი კულტურული ღირებულებები (ენა, რწმენა, ისტორიული მეხსიერება, იდენტობა, საცხოვრებელი ადგილი) ქრება. თუმცა, ეთნოციდი გენოციდის გარეშეც არის შესაძლებელი (Shaw, 2007, pp. 66-67).

ლინდელ ვ. პროტი ეთნიკური ჯგუფის განადგურების შემდეგ მახასიათებლებს გამოყოფს: ა) ბავშვების სხვა ჯგუფში იძულებითი გადაცემა; ბ) კულტურული ჯგუფის წარმომადგენლების სისტემური და ძალადობრივი განდევნა; გ) ეროვნული ენის აკრძალვა; დ) ეროვნულ ენაზე დაბეჭდილი წიგნების ან რელიგიური ნაწარმოებების სისტემური განადგურება და ახალი

გამოცემების აკრძალვა; ე) ისტორიული ან რელიგიური ძეგლების სისტემური განადგურება (Prott, 2005).

გენოციდისა და ეთნოციდის მკვლევრები ძირითადად ფოკუსირებულები არიან ლათინური ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის მკვიდრ ხალხებზე (Jaulin, 1970) (Totten, Parsons , & Robert K. Hitchcock, Annihilating Difference, 2002) (Totten & Hitchcock, 2011). თუმცა, „ცივი ომის“ შემდგომ ეს საკითხი აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაშიც გახდა აქტუალური. ფ. კასულა პიერ კლასტრესის თეორიის საფუძველზე ჩეჩნეთისა და ავღანეთის ქეისებს იკვლევს და ასკვნის, რომ პირველი შემთხვევა გენოციდად კლასიფიცირდება, ხოლო მეორე - ეთნოციდად. განსხვავება იმაშიცაა, რომ ავღანეთში დანაშაულებრივ ქმედებებს საბჭოთა არმია ახორციელებდა, ხოლო ჩეჩნეთში - რუსეთის (Casula, 2015, გვ. 715).

თანამედროვე ავტორებისგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. ხეისკანენის სტატია „გენოციდის ჩრდილში: ეთნოციდი, ეთნიკური წმენდა და საერთაშორისო სამართალი“, რომელშიც ავტორი ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ტერმინის განსაზღვრების ტრანსფორმაციასა და განსხვავებული მიდგომების სიღრმისეულ ანალიზს გვთავაზობს. ასევე მან ეთნიკური საუკუნის თეორია ჩამოაყალიბა (Heiskanen, 2021).

რაც შეეხება საერთაშორისო დეკლარაციებს, უნდა გამოვყოთ სამი მთავარი: „კონვენცია გენოციდის შესახებ“, „მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ დეკლარაცია“ და „სან-ხოსეს დეკლარაცია“. 1948 წელს გაერომ მიიღო „კონვენცია გენოციდის შესახებ“. თავდაპირველად მასში განიხილავდნენ სიტყვა ეთნოციდის გამოყენებას, თუმცა საბოლოოდ უარი თქვეს მასზე. დოკუმენტის თანახმად, გენოციდი რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და ეროვნული ნიშნით ადამიანის ფიზიკურ ან ბიოლოგიურ განადგურებას გულისხმობს (UN, 2023) (Heiskanen, 2021).

1994 წელს გაეროს „მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ დეკლარაციის“ პროექტის მე-7 თავში გამოყენებულია სიტყვები ეთნოციდი და კულტურული გენოციდი. დოკუმენტში არა არის მითითებული მათი ზუსტი განმარტებები, თუმცა წერია რა იგულისხმება ამ პოლიტიკაში. 2007 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია, თუმცა სიტყვები ეთნოციდი და კულტურული გენოციდი ამოიღეს. ამ ტერმინების ნაცვლად გამოყენებულია სიტყვები „იძულებითი ასიმილაცია“ და „კულტურის განადგურება“, რაც ფაქტობრივად ეთნოციდს გულისხმობს (Benvenuto, 2015, pp. 33-34). ამ ქმედებებში იგულისხმება: ხალხის ერთიანობის, კულტურული ღირებულებებისა ან ეთნიკური მიკუთვნილების ჩამორთმევა; ტერიტორიის, მიწის საკუთრებისა ან რესურსის ჩამორთმევა; მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება; იძულებითი ასიმილაცია და ინტეგრაცია; რასობრივი ან ეთნიკური დისკრიმინაციის პროპაგანდა (UN, 2008).

იუნესკოს მიერ მიღებულ „სან-ხოსეს დეკლარაცია“ გახდა პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელმაც ეთნოციდის მნიშვნელობა განსაზღვრა. იგი გულისხმობს იმას, რომ ეთნიკურ ჯგუფს, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, ჩამორთმეული აქვს საკუთარი კულტურისა და ენის გამოყენების, განვითარებისა და გავრცელების უფლება. ეთნოციდი არის კულტურული გენოციდი, საერთაშორისო სამართლის დარღვევა, რომელიც გენოციდის ეკვივალენტურია (Heiskanen, 2021).

რაც შეეხება კონკრეტულად აფხაზეთში, დნესტრისპირეთსა და ყირიმში მიმდინარე ეთნოციდს, სამწუხაროდ, სამეცნიერო სივრცეში ძალიან მცირე რაოდენობის ნაშრომი მოიპოვება, რომლებშიც საკვლევი ოკუპირებული რეგიონების ეთნიკური ჯგუფების დისკრიმინაცია ეთნოციდის ჭრილში იქნებოდა განხილული. გამონაკლისს ყირიმელ თათრებზე დაწერილი სტატიები და ანგარიშები წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში ყირიმელი თათრები ერთ-ერთი იყვნენ იმ ოთხ ეთნიკურ ჯგუფს შორის, რომლებსაც 1940-იანი წლების დეპორტაციის შემდეგ აეკრძალათ სამშობლოში დაბრუნება (გაჩეჩილაძე, 2017). ამიტომ, ყირიმელი თათარი დისიდენტები ხშირად წერდნენ მათი ეთნოსის კულტურული და უფლებრივი შევიწროების შესახებ. ნაშრომები ძირითადად 1944 წლის დეპორტაციაზეა ფოკუსირებული. თემურ გაჯი თავის ვრცელ მოხსენებაში (რომელშიც სუკ-ის 50-ზე მეტი საიდუმლო დოკუმენტია გამოქვეყნებული) სტალინურ პოლიტიკას გენოციდად და ეთნოციდად აფასებს (Дагджи , 2008).

ზოგიერთი ავტორის ნაშრომი ეთნოციდის კონკრეტულ მახასიათებელზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, ყირიმში უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის სტატუსი და კონფესიის შევიწროება (Ivanets & Krasnodemska, 2022, გვ. 36-63); დნესტრისპირეთში რუმინულენოვანი მოლდოველების ენისა და განათლების შეზღუდვა (Andrysek & Grecu, 2003); აფხაზეთში ქართველების იდენტობის უარყოფა და მიწის საკუთრების უფლების ჩამორთმევა (Menabde, 2019).

ა. წურწუმია-ზურაბიშვილი და მ. ტომაკი უკრაინისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების უფლებების დარღვევას იკვლევენ. გამახვილებულია ყურადღება პოლიტიკური შეხედულებების დევნაზე, დემოგრაფიული სურათის ხელოვნურ შეცვლაზე, პასპორტერიზაციაზე, რეპრესიებზე, კულტურულ დისკრიმინაციაზე (Tsurtsumia-Zurabashvili & Tomak, 2021).

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება არც ერთი ქართული სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც აფხაზეთში ომის შემდგომი ქართველების შევიწროების პოლიტიკა ეთნოციდად ან კულტურულ გენოციდად იქნებოდა შეფასებული. შეგვიძლია გამოვყოთ გ. მენაბდეს სტატია ქართველების იძულებითი ასიმილაციის შესახებ (Menabde, 2019). საკმაოდ ბევრია საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები ამ ეთნიკური ჯგუფის უფლებების დარღვევის შესახებ. სტატიის წერისას გამოყენებულია ეუთოს, Human Rights Watch-ისა და Amnesty International-ის ანგარიშები. ასევე ქართველი ავტორების სტატიები, რომლებიც აფხაზეთში მიმდინარე დისკრიმინაციულ პოლიტიკას ეხება (Gvantseladze, 2009).

უახლესი ნაშრომებიდან აღსანიშნავია 2022 წელს გამოქვეყნებული ა. კრავჩენკოსა და სხვების სტატია, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში ოკუპანტების მიერ უკრაინულ ისტორიულ მემკვიდრეობასთან ბრძოლას ეხება. ავტორები რელიგიური, ისტორიული, კულტურული ობიექტების მიზნობრივ განადგურებას კულტურულ გენოციდად აფასებენ (Kravchenko, Kyzymenko, Husieva, & Krasilnikova, 2022).

ტერმინის გამომგონებელმა რაფაელ ლემკინმა უდიდესი წვლილი შეიტანა მკვიდრი ხალხების ფიზიკური და კულტურული განადგურების საკითხში, თუმცა ეთნოციდის მისეული

ინტერპრეტაცია მოძველებულია. ჟოულინმა და კლასტრესმა ტერმინს სხვა დატვირთვა მოუძებნეს, რომელიც უკეთ ერგება ნაშრომის საკვლევ თემას და, შესაბამისად, ეს გამოადგება თეორიულ ჩარჩოდ. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგი მეცნიერები ქვეყნის შიგნით მცხოვრები მკვიდრი ხალხების კულტურის განადგურებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. გენოციდისა და ეთნოციდის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში ქვეყნის შიგნით, სუვერენიტეტის არმქონე ეთნოსები არიან. თუმცა ისტორიას ახსოვს შემთხვევები, როცა ამ დანაშაულებრივ ქმედებებს ერთი სუვერენული სახელმწიფო მეორე სუვერენული სახელმწიფოს მიმართ ახორციელებდა. მაგალითად: მესამე რაიხის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაელების, ბოშებისა და სლავების მასობრივი განადგურება; 1990-იანი წლების დასაწყისში სომხეთის დანაშაულებრივი ქმედებები აზერბაიჯანელების წინააღმდეგ მთიან ყარაბაღში (ჰოჯალის ხოცვა-ჟლეტა). ასეთი ფაქტები განსაკუთრებით „ცივი ომის“ შემდეგ გახშირდა. კიდევ ერთი პრობლემა დეკლარაციებს უკავშირდება. როგორც აღმოჩნდა, საერთაშორისო ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ეთნოციდის საკითხს. თუმცა, მათში დაფიქსირებული ეთნოციდის მახასიათებლები თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ. საკვლევ რეგიონებთან დაკავშირებული ლიტერატურის უდიდესი ნაწილი არ განიხილავს ეთნიკური ჯგუფების კულტურული შევიწროების პოლიტიკას ეთნოციდად. აღნიშნული ტერმინი არაა კარგად დამკვიდრებული ქართულ, მოლდოვურ და უკრაინულ სამეცნიერო სივრცეში. ავტორები ძირითადად ეთნოციდის კონკრეტულ მახასიათებლებზე არიან ფოკუსირებულნი (ენა, განათლება, რელიგია, ისტორიული ძეგლები, იდენტობა და ა. შ.). ამავე დროს, აღნიშნული კვლევისთვის ეს მასალა ძალიან მნიშვნელოვანია.

ეთნოციდის შედარებითი ანალიზი აფხაზეთის, დნესტრისპირეთისა და ყირიმის მაგალითზე

ეთნოციდის მთავარი ასპექტების გამოსაყოფად ლინდელ ვ. პროტის სტატიაში (Prott, 2005), იუნესკოს სან-ხოსეს დეკლარაციასა (Heiskanen, 2021) და გაეროს „მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ დეკლარაციაში“ (UN, 2008) აღწერილი მახასიათებლების სინთეზი მოვახდინეთ. ასევე ავტორის მიერ დამატებულია კიდევ რამდენიმე მახასიათებელი. ცხრილში №1 წარმოდგენილია ეთნოციდის მთავარი მახასიათებლები: *ენის შეზღუდვა ან აკრძალვა, რელიგიური დევნა, მიწის საკუთრების უფლების ჩამორთმევა, ეროვნული ან/და სახელმწიფო სიმბოლიკებისა (დროშა, გერბი და ა. შ.) და ინსტიტუტების აკრძალვა, განათლების სისტემის ცვლილება, ტოპონიმების შეცვლა, ისტორიულ მეხსიერებასთან ბრძოლა (ისტორიული ძეგლების განადგურება), იდენტობის უარყოფა, ბავშვთა იძულებითი დეპორტაცია.*

ცხრილი №1. ეთნოციდის ცხრა მახასიათებელი

	ვ. პროტი	იუნესკოს დეკლარაცია	გაეროს დესკარაცია	ავტორის ანალიზი
ენა	+	+	+	
რელიგია	+	-	-	
მიწის საკუთრების უფლების ჩამორთმევა	-	-	+	
ეროვნული ან/და სახელმწიფო სიმბოლიკებისისა და ინსტიტუტების აკრძალვა	-	-	-	+
განათლება	-	-	-	+
ტოპონიმების შეცვლა	-	-	-	+
ისტორიული ძეგლები	+	-	-	
იდენტობის უარყოფა	-	-	+	
ბავშვთა დეპორტაცია	+	-	+	

წყარო: ავტორის ანალიზი

სტატიის ამ ნაწილში შესწავლილია და გაანალიზებულია საკვლევ რეგიონებში მიმდინარე ეთნოციდის თითოეული მახასიათებელი:

ენა

აფხაზეთში, ომის შემდეგ, ქართულმა ენამ ოფიციალური სტატუსი დაკარგა. მისი გამოყენება საჯარო და საგანმანათლებლო სფეროებიდან გაქრა. ბოლო წლებში, ამ ენის მატარებელთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. დღესდღეობით ოკუპირებულ რეგიონში რუსული ენის (და არა აფხაზური!) დომინირება და პოპულარიზაცია შეიმჩნევა (Gvantseladze, 2009).

დნესტრისპირეთში სამი ოფიციალური ენაა: რუსული, უკრაინული და მოლდოვური (იგულისხმება კირილიცას დამწერლობა). თუმცა ამათგან, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სასამართლო სფეროებში რუსული დომინირებს, სხვა ენების გამოყენება ძალიან შეზღუდულია. 2004 წელს ეუთო ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარე პროცესებს ენობრივი წმენდა უწოდა და მოუწოდა ტირასპოლს დაეცვა ადამიანის უფლებები (OSCE, 2004). სეპარატისტული მთავრობა არ აღიარებს ლათინური დამწერლობის მოლდოვურ ანუ რუმინულ ენას. შესაბამისად, ეთნოციდის

პოლიტიკის სამიზნე რუმინულენოვანი მოლდოველები არიან. მისი გამოყენება სასტიკად იზღუდება და იდევნება. უპირველეს ყოვლისა ეს საგანმანათლებლო და პროფესიულ სივრცეებს ეხება (Radio Europa Liberă, 2022). დ. მორუზის თქმით, მოლდოველების ენის გამოყენების შეზღუდვა ადამიანის უფლებების მკაცრ დარღვევას წარმოადგენს (ინტერვიუ დმიტრი მორუზთან, 6.06.2023).

„ყირიმის რესპუბლიკაში“ სამი ოფიციალური ენა მოქმედებს: რუსული, უკრაინული და ყირიმელი თათრების. მიუხედავად ამისა, ბოლო ორი ენის საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში გამოყენება შეზღუდულია, განსაკუთრებით ბოლო წლებში (Соколова, 2022). შესავალში ნახსენები რუსი პროპაგანდისტი ტიმოფეი სერგეიცევი თავის სტატიაში ღიად საუბრობს უკრაინული ენის აკრძალვის საჭიროებისა და უკრაინელების რუსიფიკაციის პოლიტიკის შესახებ (Сергейцев, 2022). ავტორის ხედვა და კრემლის პრაქტიკა ემთხვევა ერთმანეთს.

რელიგია

ოკუპაციის შემდეგ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაკარგა კონტროლი აფხაზეთზე. მთელი რიგი ქართული ისტორიული ძეგლი თვითაღიარებული აფხაზური ეკლესიის დაქვემდებარებაში შედის. დიდი ზიანი ილორის ტაძარს მიაყენეს. რესტავრაციის შედეგად, შენობის იერსახე მნიშვნელოვნად შეიცვალა, ქართული მართლმადიდებლობისთვის დამახასიათებელი ნიშნები გაქრა (Кавказский Узел, 2010). დღეს მას „აფხაზური ეკლესია“ აკონტროლებს.

ყირიმში უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის (კიევის პატრიარქატი) საქმიანობა შეზღუდულია, მისი მიმდევრების უფლებები ირღვევა. კრემლი ყველანაირად ცდილობს ეპარქიის გაუქმებას. ამით რუსეთი დიდ ზეწოლას ახდენს უკრაინულ თემზე, რომლისთვისაც ეკლესია, ოკუპაციის პირობებში, იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების წყაროა (Ivanets & Krasnodemska, 2022). ყირიმელ თათრებს ასევე უზღუდავენ რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩატარებას (Parliamentary Assembly, 2016).

ბავშვთა იძულებითი დეპორტაცია

2023 წლის 17 მარტს ჰააგის ტრიბუნალმა რუსეთის პრეზიდენტის დაკავების ორდერი გასცა. პუტინს ბრალად წაუყენეს ომის მსვლელობისას, ოკუპირებული ტერიტორიებიდან უკრაინელი ბავშვების რუსეთში იძულებითი დეპორტაცია. კიევის მონაცემებით, რუსეთმა 16 ათასზე მეტი ბავშვის დეპორტაცია მოახდინა. სხვა წყაროების ინფორმაციით, ეს რიცხვი 200 ათასს შეიძლება აღწევდეს (Borger & Sauer, 2023). აღსანიშნავია, რომ ეს პრაქტიკა ახალი არაა. 2014 წლის თებერვლისთვის ნახევარკუნძულზე 4323 ობოლი ბავშვი აღირიცხებოდა. ანექსიის შემდეგ, რუსეთმა ისინი ყირიმიდან გაიყვანა. მათი ბედი დღემდე უცნობია (Voice of Crimea, 2022).

აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში ბავშვთა იძულებითი დეპორტაცია არ აღინიშნებოდა.

მიწის საკუთრება

აფხაზეთში, გალის რაიონში მცხოვრებმა ქართველებმა უარი უნდა თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე, მოიპოვონ აფხაზური პასპორტი (რომელსაც არსად არ აღიარებენ), რათა მიიღონ მიწის საკუთრების უფლება. სხვა შემთხვევაში მათ სახლს უცხო პირი შეიძლება დაეპატრონოს (Menabde, 2019). ანალოგიურად, ანექსირებულ ყირიმში მცხოვრებ უკრაინელებსა და ყირიმელ თათრებს არ აქვთ მიწის საკუთრების უფლება, თუ ისინი არ სარგებლობენ რუსული პასპორტით, ანუ არ არიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები (Parliamentary Assembly, 2016).

ეროვნული ან/და სახელმწიფო სიმბოლიკები და ინსტიტუტები

სამივე საკვლევი რეგიონის შემთხვევაში ფიქსირდება ეროვნულ სიმბოლიკებთან (დროშები, გერბი) ბრძოლა დე-ფაქტო მთავრობების მხრიდან (ინტერვიუ ვაჟა ლორთქიფანიძესთან, 18.05.2023) (ინტერვიუ ივანნა მაჩიტიძესთან, 17.05.2023) (ინტერვიუ დმიტრი მორუზთან, 6.06.2023).

ასევე, 2016 წელს ანექსირებულ ნახევარკუნძულზე რუსეთის ფედერაციამ ყირიმელი თათრების თვითმმართველი ინსტიტუტი, მეჯლისი ექსტრემისტულ ორგანიზაციად ცნო და აკრძალა (Memorial, 2022).

განათლება

ომის შემდეგ ქართული სკოლები გალის რაიონში ფუნქციონირებდა. 2016 წელს ყველა სასწავლებელი რუსულზე გადავიდა, მშობლიური ენას კვირაში 2-3 საათი ეთმობა. გალში მცხოვრები ბავშვები იძულებულნი არიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ, რათა ქართულ სკოლაში მიიღონ განათლება (კავკაზპლიუსი, 2016) (Чарквиани, 2019). საინტერესოა, რომ ქართულთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზური ენაც ქრება. აფხაზი ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ ფლობს მშობლიურ ენას, ბევრი რუსულ სკოლაში სწავლას ამჯობინებს, რადგან მას მეტი პერსპექტივა აქვს (ზანთარაია, 2018).

1992 წლის ომის შემდეგ დნესტრისპირეთის საგანმანათლებლო სისტემაში ბევრი ცვლილება მოხდა. საგრძნობლად გაიზარდა რუსულენოვანი სკოლების რაოდენობა, რუმინულენოვანი კი შემცირდა. დღესდღეობით ოკუპირებულ ტერიტორიაზე 8 სკოლა ფუნქციონირებს, სადაც სწავლა რუმინული ენის ლათინურ დამწერლობაზე მიმდინარეობს. ამავე დროს, კურსდამთავრებულებს უჭირთ უმაღლესი განათლების გაგრძელება და დასაქმება, რადგან რუმინულ ენას არ აღიარებენ (OSCE, 2004) (Andrysek & Grecu, 2003). სეპარატისტული მთავრობა არაერთხელ ემუქრებოდა დარჩენილი რუმინულენოვანი სკოლების დახურვით რასაც ყოველთვის მწვავე რეაქცია მოჰყოლია ეუთოსა (2005) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან (2012 და 2018 წლებში). აღსანიშნავია, რომ სასამართლო ამ პოლიტიკაში რუსეთს ადანაშაულებს და ეთნიკური ჯგუფის უფლებების დაცვას ავალდებულებს (Ceapai, 2022). დ. მორუზი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში ოკუპირებულ რეგიონში მნიშვნელოვანი კვლევები ამ მიმართულებით ვერ ჩატარდა და დღევანდელი სურათი უცნობია, თუმცა არა არის გამორიცხული, რომ სიტუაცია გაუარესდა (ინტერვიუ დმიტრი მორუზთან, 6.06.2023).

ძალიან რთული ვითარებაა ყირიმშიც. ანექსირებულ ნახევარკუნძულზე 2014 წლამდე 7 უკრაინული და 15 ყირიმელი თათრების სკოლა ფუნქციონირებდა, რომლებშიც სწავლა სრულად ეროვნულ ენებზე მიმდინარეობდა. არსებობდა ჰიბრიდული საგანმანათლებლო სისტემის დაწესებულებები. 2019 წელს კრემლმა ყველა აღნიშნული სკოლა გააუქმა და სწავლა რუსულ ენაზე გადავიდა (Coynash, 2019).

ტოპონიმები

სიღრმისეული ინტერვიუს ორმა ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საკვლევ ოკუპირებულ რეგიონებში ეთნოციდის პოლიტიკა არ არის ახალი მოვლენა. აფხაზეთსა და ყირიმში მკვიდრი ხალხების კულტურის დევნა ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის ექსპანსიის პერიოდში დაიწყო. რუსეთის სამიზნე თითქმის ყველა ეთნიკური ჯგუფი იყო, მათ შორის ქართველები, უკრაინელები, ყირიმელი თათრები, აფხაზებიც კი (ინგერვიუ ვაჟა ლორთქიფანიძესთან, 18.05.2023) (ინტერვიუ ივანნა მაჩიტიძესთან, 17.05.2023).

ვ. ლორთქიფანიძე აფხაზეთში ქართველების ეთნიკური წმენდის შემდეგ, ოკუპირებულ რეგიონში ქართული სოფლებისა და ქალაქების, ქუჩებისა და გეოგრაფიული ადგილების სახელწოდებების შეცვლაზე ამახვილებს ყურადღებას. სეპარატისტულ მთავრობას ამით ყოველგვარი ქართული ელემენტის განადგურება სურდა (ინგერვიუ ვაჟა ლორთქიფანიძესთან, 18.05.2023). ყირიმში ეს პოლიტიკა 1944 წელს დაიწყო, როცა ბოლშევიკებმა ყირიმელი თათრები გადაასახლეს, ხოლო ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში დასახლებული პუნქტების სახელწოდებები შეცვალეს. ეს პოლიტიკა ანექსიის შემდეგ კიდევ უფრო „დაიხვეწა“ (ინტერვიუ ივანნა მაჩიტიძესთან, 17.05.2023). დნესტრისპირეთში რუმინულენოვანი ტოპონიმების შეცვლა რუსიფიკაციის პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს (ინტერვიუ დმიტრი მორუზთან, 6.06.2023).

ისტორიული ძეგლები

არაერთხელ დაფიქსირებულა ვანდალიზმის ფაქტები აფხაზეთში. უკვე ათწლეულებია სეპარატისტული მთავრობა ქართულ რელიგიურ ძეგლებს ითვისებს (ილორი, ბედია), ანადგურებს ისტორიულ ძეგლებზე წარწერებსა და სიმბოლოებს (ლიხნი და ელირი). (Кавказский Узел, 2010). დნესტრისპირეთშიც ხშირია ისტორიულ მემკვიდრეობასთან ბრძოლის ფაქტები. სეპარატისტული მთავრობა ნეგატიურად არის განწყობილი რუმინეთის მიმართ და ერისთვის დამახასიათებელი კულტურული ელემენტების ამოძირკვას ცდილობს. მაგალითად, 2007 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტიგინში მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული რუმინელების ისტორიული სასაფლაო ბულდოზერებით მიწასთან გაასწორა (Damian & Lupascu, 2007). ანალოგიური სურათია ყირიმშიც, სადაც კრემლის სამიზნეა ისტორიული შენობები, სასაფლაოები და რელიგიური დაწესებულებები (Voice of Crimea, 2022).

იდენტობა

ქართველებისთვის უფლებრივი თანასწორობის ერთადერთ პერსპექტივას საკუთარი ეთნიკური იდენტობის უარყოფა და აფხაზებად გამოცხადება წარმოადგენს. გ. გვაზავა ხაზს უსვამს, რომ ასეთი პოლიტიკა ბოლო წლებში კიდევ უფრო გამკაცრდა და საერთაშორისო სამართლის სასტიკ დარღვევას წარმოადგენს. სეპარატისტული მთავრობა იყენებს როგორც იძულებით, ისე ადმინისტრაციულ ბერკეტებს. გალის მუნიციპალიტეტის მცხოვრებ ქართველებს არ აქვთ ე. წ. აფხაზეთის პასპორტი, ისინი ფაქტობრივად უუფლებონი არიან. მათ არ შეუძლიათ ადგილობრივ „არჩევნებში“ მონაწილეობის მიღება, მიწის ან უძრავი ქონების საკუთარ სახელზე გაფორმება და ა. შ. პასპორტის მისაღებად, ქართველმა უარი უნდა თქვას თავის იდენტობაზე, იმაზე, რომ მისი წინაპრები ქართველები იყვნენ და აფხაზური გვარი აღადგინოს. ასევე, გააუქმოს ქართული პასპორტი (არსებობის შემთხვევაში) (Menabde, 2019). შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი უარს ამბობს როგორც მოქალაქეობაზე, ისე ეთნიკურ მიკუთვნებულობაზე. ასეთი პოლიტიკა მომავალში საგრძნობლად შეცვლის რეგიონის დემოგრაფიულ სურათს.

2022 წელს ფართომასშტაბიანი ომის დაწყებიდან, კრემლმა არაერთხელ დააფიქსირა უკრაინული იდენტობის უარყოფა. უკრაინელები ცალკე დამოუკიდებელ ერად აღარ განიხილებიან. რუსეთი ასევე ებრძვის ყირიმელი თათრების იდენტობას, მათ თვითშეგნებასა და ცხოვრების წესს (ინტერვიუ ივანნა მაჩიტიძესთან, 17.05.2023).

კვლევის შედეგები / დისკუსია

ეთნოციდის ყველა მახასიათებელი დაფიქსირდა ყირიმის მკვიდრი ეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში. დღევანდელი ტენდენცია ცხადყოფს, რომ ეს პოლიტიკა მომავალში კიდევ უფრო მეტად გამძაფრდება. ქართველების მდგომარეობა არანაკლებ მძიმეა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მათ თავიანთი იდენტობის, ეთნიკური მიკუთვნებულობის უარყოფას აიძულებენ. ერთადერთი, რაც აფხაზეთში არ დაფიქსირებულა, ეს ქართველ ბავშვთა იძულებითი დეპორტაციაა. დნესტრისპირეთში მცხოვრები რუმინულენოვანი მოლდოველების უფლებრივი სტატუსი ოდნავ უკეთესია, თუმცა აქაც აღინიშნება კულტურასთან ბრძოლის ფაქტები. დ. მორუზის აზრით სიტყვა ეთნოციდის ხმარება შეიძლება ცოტა ხმამაღალი იყოს, თუმცა ოკუპირებულ რეგიონში ნამდვილად არსებობს რუმინულენოვანი მოლდოველების კულტურული შევიწროების ფაქტები, რაც ადამიანთა უფლებების მკაცრ დარღვევას წარმოადგენს. სეპარატისტული მთავრობის ფართო და ყოვლისმომცველი რუსიფიკაციის პოლიტიკა პირდაპირ აისახება მოსახლეობის კულტურულ შევიწროებაზე (ინტერვიუ დმიტრი მორუზთან, 6.06.2023). იგივე ითქმის სხვა რეგიონების შემთხვევაშიც. აფხაზეთში მცხოვრები ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრეა, რაც ეწინააღმდეგება „დამოუკიდებლობისა“ და რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის მომხრე ე. წ. მთავრობას. ანექსირებულ ნახევარკუნძულზე მცხოვრები ყირიმელი თათრები ყოველთვის გამოირჩეოდნენ პრო-უკრაინული პოზიციით, რაც ეწინააღმდეგება კრემლის ინტერესებს. ამიტომაც აღნიშნული ეთნიკური ჯგუფი რეპრესიის სამიზნე გახდა.

ი. მაჩიტიძე კრემლის პოლიტიკის მიზნებზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს რუსულ იდენტობაზე. რუსები საკუთარ თავს არა ცალკე ერად, არამედ ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად განიხილავენ. პარალელურად, კრემლი სხვა, ჩამოყალიბებული იდენტობის მქონე, ეთნიკური ჯგუფების კულტურას ებრძვის და რუსული კულტურის („რუსული სამყაროს“) წინ წამოწევას ცდილობს (ინტერვიუ ივანნა მაჩიტიძესთან, 17.05.2023). დ. მორუზი ამბობს, რომ კრემლის მიერ ეთნიკური ჯგუფების კულტურული შევიწროება საგარეო პოლიტიკის გარკვეულ ნაწილს, ზეგავლენის ინსტრუმენტს წარმოადგენს (ინტერვიუ დმიტრი მორუზთან, 6.06.2023). ვ. ლორთქიფანიძის თქმით, მოსკოვი „რუსიფიკატორულ პოლიტიკას“ აწარმოებს, რაც რუსული ენის, განათლების, კულტურის, აზროვნების, შეგნების დამკვიდრებას, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ასიმილაციას გულისხმობს, რაც ხელს შეუწყობს მომავალში კავკასიის გაკონტროლებაში (ინტერვიუ ვაჟა ლორთქიფანიძესთან, 18.05.2023).

აფხაზეთის, დნესტრისპირეთისა და ყირიმის ოკუპაციის შედეგად, კრემლის პოლიტიკის მთავარ სამიზნედ მკვიდრი ხალხების კულტურა იქცა. რუსეთი „უსისხლო“ გენოციდის ტაქტიკას მიმართავს. მკვიდრი ხალხების კულტურის, თვითმყოფადობისა და ცხოვრების წესთან ბრძოლით, კრემლს მათი პოლიტიკური და კულტურული ასიმილაცია სურს, რაც გაამარტივებს ოკუპირებული ტერიტორიების საბოლოო ინტეგრაციას რუსეთის ფედერაციაში. კიდევ ერთი მიზეზი, რითაც აიხსნება ეს პოლიტიკა, ის არის, რომ XXI საუკუნეში კრემლი ვერ შეძლებს ღია გენოციდის, საკონცენტრაციო ბანაკების სისტემისა და ეთნიკური წმენდის ჩატარებას. აღნიშნული პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად დააზარალებს მის იმიჯს და გააძლიერებს მოსკოვის წინააღმდეგ სანქციებს.

ცხრილი №2

	უკრაინა	საქართველო	მოლდოვა
საკვლევი ოკუპირებული რეგიონები	ყირიმი	აფხაზეთი	დნესტრისპირეთი
ეთნოციდის პოლიტიკის სამიზნე ეთნიკური ჯგუფები	უკრაინელები და ყირიმელი თათრები	ქართველები	რუმინულენოვანი მოლდოველები
ეთნოციდის პოლიტიკის სამიზნე	▪ უკრაინული და ყირიმულთათრული ენების შევიწროება; ▪ უკრაინის მართლმადიდებული ეკლესიის დევნა;	▪ ქართული ენის შეზღუდვა; ▪ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დევნა;	▪ რუმინული ენის დევნა (ლათინური დამწერლობა); ▪ რუმინულენოვანი

	▪ მიწის საკუთრების უფლების შეზღუდვა; ▪ უკრაინული და ყირიმელი თათრების ეროვნული სიმბოლოების აკრძალვა; ▪ განათლების სისტემაში ეროვნული ელემენტების ამოღება და სკოლების გაუქმება; ▪ უკრაინული და ყირიმელი თათრების ტოპონიმების შეცვლა; ▪ ძეგლების განადგურება; ▪ იდენტობასთან ბრძოლა; ▪ ბავშვთა დეპორტაცია	▪ მიწის საკუთრების უფლების ჩამორთმევა; ▪ ბრძოლა ეროვნულ სიმბოლოებთან; ▪ ქართულენოვანი სკოლების გაუქმება; ▪ ქართული ტოპონიმების შეცვლა ▪ ქართული ისტორიული ძეგლების მითვისება ან განადგურება; ▪ იდენტობაზე უარის თქმა	სკოლების გაუქმება; ▪ რუმინულ ეროვნულ სიმბოლიკასთან ბრძოლა; ▪ ისტორიული ძეგლების განადგურება

წყარო: ავტორის ანალიზი*ცხრილი №3*

	ყირიმი	აფხაზეთი	დნესტრისპირეთი
ენა	+	+	+
რელიგია	+	+	-
მიწის საკუთრების უფლების ჩამორთმევა	+	+	-
ეროვნული ან/და სახელმწიფო სიმბოლიკების აკრძალვა	+	+	+
განათლება	+	+	+
ტოპონიმები	+	+	-
ისტორიული ძეგლები	+	+	+
იდენტობის უარყოფა	+	+	-
ბავშვთა დეპორტაცია	+	-	-

წყარო: ავტორის ანალიზი

დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა ეთნოციდის მთავარი მახასიათებლების განსაზღვრას. ამისათვის გაანალიზდა სამეცნიერო ნაშრომები და საერთაშორისო დეკლარაციები, რომლებშიც აღწერილი იყო, თუ რას გულისხმობდა ეთნოციდი და იძულებითი ასიმილაცია. ამ ინფორმაციისა და ავტორის ანალიზის სინთეზის საფუძველზე, გამოყოფილ იქნა ეთნოციდის ცხრა მახასიათებელი. მეორე მიზნის მისაღწევად, მითითებულ თეორიასთან ერთად, შესწავლილ იქნა სამეცნიერო და ანალიტიკური სტატიები, მეორადი წყაროები, მედია და ინტერნეტ რესურსები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები. ასევე, ჩატარდა სამი სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტებთან. საბოლოო მიზნის მისაღწევად, შედარებულ იქნა ეთნოციდის ძირითადი მახასიათებლები, რომელებიც სამივე ოკუპირებულ რეგიონში დაფიქსირდა. ასევე, გაანალიზდა ექსპერტების ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევისას დადგინდა, რომ ეთნოციდი ებრძვის როგორც ეთნიკური ჯგუფის კულტურას, ისე მის ცხოვრების წესსა და იდენტობას. იგი შეიძლება არსებობდეს როგორც დამოუკიდებელი მოვლენა. ამავე დროს, გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას, ანუ ეთნიკური ჯგუფის ფიზიკურ განადგურებასა ან იძულებით გადასახლებას, აუცილებლად თან ახლავს ეთნოციდი. ეთნოციდის პირველი სამიზნეა ეთნიკური ჯგუფის ენა, განათლება და ისტორიული მეხსიერება. სამივე შემთხვევაში რუსეთი ებრძვის მკვიდრი მოსახლეობის ენას. ყირიმის შემთხვევაში იდევნება როგორც უკრაინული, ისე ყირიმელი თათრების ენები. უკრაინასა და საქართველოში ეთნოციდის პოლიტიკა ფართო ხასიათს ატარებს და მოიცავს რელიგიას, ისტორიულ მეხსიერებას, ეროვნულ სიმბოლიკასა და იდენტობას. სამივე შემთხვევაში იკვეთება რუსულენოვანი მოსახლეობის ზრდა და ადგილობრივი ენების გაქრობა. ეთნოციდის პოლიტიკის მთავარი მახასიათებლები ყველაზე მეტად გამოჩნდა უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, შემდეგ საქართველოში, და ბოლოს - მოლდოვაში. ძალიან მძიმეა ეთნიკური ქართველების მდგომარეობა აფხაზეთში, რადგან სეპარატისტული მთავრობა უარყოფს მათ იდენტობას და არ აღიარებს მათ უფლებებს. კიდევ ერთი მძიმე დანაშაული გამოვლინდა ანექსირებულ ყირიმში - ბავშვთა დეპორტაცია, რაც სხვა საკვლევ რეგიონებში არ დაფიქსირებულა. დაპყრობილი ხალხების კულტურის განადგურება კრემლის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს. ასეთი პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებას ამარტივებს. რუსეთის მიზანია მკვიდრი მოსახლეობის ასიმილაცია, „ნეგატიური“, არახელსაყრელი განსხვავებულობების აღმოფხვრა და მათი იდენტობის განადგურება. ეს გაამარტივებს აღნიშნული რეგიონების ფედერაციაში სრულ ინტეგრაციას.

ეთნოციდი არის რთული და ცუდად შესწავლილი მოვლენა. მთავარი პრობლემა ტერმინს უკავშირდება. რთულია იმის დადგენა, რას გულისხმობს მეცნიერი, ჟურნალისტი თუ დიპლომატი, როცა ხმარობს სიტყვა ეთნოციდს - ეთნიკური ჯგუფის განადგურებას, კულტურულ შევიწროებას, ორივეს ერთად ან საერთოდ ეთნიკურ წმენდას. იურისტებმა, სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებმა უნდა გააგრძელონ ამ საკითხის შესწავლა. გაეროსა და იუნესკოს დეკლარაციები გაწერილი პრინციპები ეთნოციდის შესახებ არასრულ და ბუნდოვან სურათს გვაძლევენ. ევროკავშირმა და ეუთომ ასევე მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ ეთნოციდის დანაშაულებრივი

აქტების მიმართ. განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც 2023 წელს ჰააგის სასამართლომ რუსეთის პრეზიდენტს განაჩენად უკრაინელი ბავშვების იძულებითი დეპორტაცია გამოიტანა, რაც, როგორც სტატიაში არაერთხელ აღინიშნა, ეთნოციდის ერთ-ერთ მახასიათებელს და საერთაშორისო სამართლის სასტიკ დარღვევას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

გაჩეჩილაძე, რ. (2017). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში.* თბილისი.

ზანთარაია, თ. (27 09 2018 г.). *აფხაზეთში ქართულთან ერთად აფხაზური ენაც ქრება.* Получено из რადიო თავისუფლება: https://www.radiotavisupleba.ge/a/როგორ-მოკვდა-ქართულენოვანი-განათლება-აფხაზეთში-/29512839.html [ნანახია: 29.04.2023]

კავკაზპლიუსი. (25 04 2016 г.). *აფხაზეთი ქართული ენის გარეშე.* Получено из https://ge.kavkazplus.com/news.php?id=15#.ZFYOwHZBxEb [ნანახია: 29.04.2023]

ABA. (2023). *What is Ethnocide?* Получено из American Bar Association: https://www.americanbar.org/groups/human_rights/dignity-rights-initiative/ethnocide-project/what-is-ethnocide-/#:~:text=Ethnocide%20is%20the%20destruction%20of,Nazi%20Party%20rose%20to%20power. [ნანახია: 29.04.2023]

Andrysek, O., & Grecu, M. (2003). *Unworthy partner: the schools issue as an example of human rights abuses in Transdniestria.* Получено из https://www.soviet-medals-orders.com/images/Publ/andrysek&grecu4.htm [ნანახია: 29.04.2023]

Benvenuto, J. (2015). What Does Genocide Produce? The Semantic Field of Genocide, Cultural Genocide, and Ethnocide in Indigenous Rights Discourse. *Genocide Studies and Prevention: An International Journal 9 (2)*, 26-40.

Borger , J., & Sauer, P. (17 03 2023 г.). *ICC judges issue arrest warrant for Vladimir Putin over alleged war crimes*. Получено из The Guardian: https://www.theguardian.com/world/2023/mar/17/vladimir-putin-arrest-warrant-ukraine-war-crimes [ნანახია: 29.04.2023]

Casula, P. (2015). Between “ethnocide” and “genocide”: violence and Otherness in the coverage of the Afghanistan and Chechnya wars. *Nationalities Papers, 43:5*, 700-718.

Ceapai, A. (17 08 2022 г.). *Cu războiul în coastă, școlile cu predare în limba română din Transnistria se așteaptă la probleme în noul an de studii*. Получено из Radio Europa Liberă Moldova: https://moldova.europalibera.org/a/cu-r%C4%83zboiul-%C3%AEn-coast%C4%83-%C8%99colile-cu-predare-%C3%AEn-limba-rom%C3%A2n%C4%83-din-transnistria-se-a%C8%99teapt%C4%83-la-probleme-%C3%AEn-noul-an-de-studii-/31992405.html [ნანახია: 29.04.2023]

Clastres, P. (1974). De l'Ethnocide. стр. 101-110.

Coynash, H. (27 03 2019 г.). *Russia has eliminated all classes taught in Ukrainian since its annexation of Crimea*. Получено из KHPG: https://khpg.org/en/1553612958 [ნანახია: 29.04.2023]

Damian, G., & Lupascu, A. (3 02 2007 г.). *Tyraspol officials bulldoze Romanian soldiers' remains*. Получено из ZIUA: http://www.ziua.ro/display.php?data=2007-02-03&id=215320&ziua=09f2fdf1b2dc3e1a2045ba50d4e5757a [წაწახია: 29.04.2023]

European Commission. (13 07 2022 г.). *Joint statement on supporting Ukraine in its proceeding at the International Court of Justice.* Получено из European Commission: file:///C:/Users/pc/Downloads/Joint_statement_on_supporting_Ukraine_in_its_proceeding_at_the_International_Court_of_Justice.pdf [წაწახია: 29.04.2023]

Gardner, S. (3 04 2022 г.). *Ukraine accuses Russia of civilian 'massacre'*. Получено из Reuters: https://www.reuters.com/world/europe/ukraine-claims-control-over-kyiv-region-russia-looks-east-2022-04-03/ [წაწახია: 29.04.2023]

Gvantseladze, T. (2009). Russian Language Policy in Abkhazia and its Results. *Causes of War Prospects for Peace*, 167-173.

Heiskanen, J. (2021). In the Shadow of Genocide: Ethnocide, Ethnic Cleansing, and International Order. *Global Studies Quarterly, Volume 1, Issue 4*.

Ivanets , A., & Krasnodemska, I. (2022). A Situation of the Crimeans Diocese of the Orthodox Church of Ukraine in Russian Occupied Crimea (2014-2022). *Occasional Papers on Religion in Eastern Europe: Vol. 42 : Iss. 6 , Article 4*, 36-63.

Jaulin, R. (1970). *La Paix blanche, Introduction à l'ethnocide.* Paris: Éditions du Seuil (Combats).

Kravchenko, A., Kyzymenko, I., Husieva, N., & Krasilnikova, O. (2022). CRIME AGAINST MEMORY OR CULTURAL GENOCIDE? . *EUROPEAN JOURNAL OF TRANSFORMATION STUDIES Vol. 10, No. 2*, 206-234.

Lemkin, R. (1944). *Axis Rule in Occupied Europe.* Washington: Carnegie Endowment for International Peace.

Lemkin, R. (2008). Chapter IX: "Genocide". В R. Lemkin , W. A. Schabas, & S. Power, *Axis Rule in Occupied Europe: Laws of Occupation, Analysis of Government, Proposals for Redress (Foundations of the Laws of War)* (стр. 79 - 95). The Lawbook Exchange, Ltd.; 2nd edition.

Memorial. (30 12 2022 г.). *The Discrimination and Persecution of Crimean Tatars in 2014-2022*. Получено из Anti-Discrimination Center Memorial: https://adcmemorial.org/en/articles/the-discrimination-and-persecution-of-crimean-tatars-in-2014-2022/ [წაწახია: 29.04.2023]

Menabde, G. (2019). Georgians in Abkhazia: A Choice Between Assimilation and Emigration. *Eurasia Daily Monitor Volume: 16 Issue: 113*.

OSCE. (15 07 2004 г.). *OSCE: Linguistic cleansing underway in Transdniestria*. Получено из OSCE: https://web.archive.org/web/20160218033937/http://www.osce.org/hcnm/56534 [ნანახია: 29.04.2023]

Parliamentary Assembly. (2016). *Legal remedies for human rights violations on the Ukrainian territories outside the control of the Ukrainian authorities. Resolution 2133.* Parliamentary Assembly.

Prott, L. V. (2005). Ethnocide. *Encyclopedia of Genocide and Crimes Against Humanity*.

Radio Europa Liberă. (1 09 2022 г.). *Chișinăul răspunde lui Lavrov: În Transnistria sunt încălcate drepturile vorbitorilor de română, nu de rusă*. Получено из Radio Europa Liberă Moldova: https://moldova.europalibera.org/a/chi%C8%99in%C4%83ul-r%C4%83spunde-lui-lavrov-%C3%AEn-transnistria-sunt-%C3%AEnc%C4%83lcate-drepturile-vorbitorilor-de-rom%C3%A2n%C4%83-nu-de-rus%C4%83/32013858.html [ნანახია: 29.04.2023]

Sautman, B. (2003). Cultural Genocide and Tibet. *Texas International Law Journal, 38*, 173-248.

Shaw, M. (2007). *What is Genocide?* Polity Press.

Snyder, T. (8 04 2022 г.). *Russia's genocide handbook*. Получено из Timothy Snyder: https://snyder.substack.com/p/russias-genocide-handbook [ნანახია: 29.04.2023]

Totten , S., & Hitchcock, R. (2011). *Genocide of indigenous people : a critical biographical review.* New York.

Totten, S., Parsons , W., & Robert K. Hitchcock. (2002). В A. L. Hinton, *Annihilating Difference* (стр. 54-91). University of California Press.

Tsurtsumia-Zurabashvili, A., & Tomak, M. (25 08 2021 г.). *Human rights consequences of Russian occupation: Georgia and Ukraine.* Получено из Middle East Institute: https://www.mei.edu/publications/human-rights-consequences-russian-occupation-georgia-and-ukraine [ნანახია: 29.04.2023]

UN. (2008). *United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples.* Получено из United Nations: https://www.un.org/esa/socdev/unpfii/documents/DRIPS_en.pdf [ნანახია: 29.04.2023]

UN. (2023). *Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide.* Получено из United Nations: https://www.un.org/en/genocideprevention/documents/atrocity-crimes/Doc.1_Convention%20on%20the%20Prevention%20and%20Punishment%20of%20the%20Crime%20of%20Genocide.pdf [ნანახია: 29.04.2023]

Voice of Crimea. (02 01 2022 г.). *Ethnocide and cultural genocide in Crimea: fiction or factual reality?* Получено из Voice of Crimea: https://culture.voicecrimea.com.ua/en/ethnocide-and-cultural-genocide-in-crimea-fiction-or-factual-reality/ [ნანახია: 29.04.2023]

Дагджи , Т. (2008). *Сталинский геноцид и этноцид крымскотатарского народа.* Симферополь: Симферопольская городская типография.

Кавказский Узел. (4 12 2010 г.). *Грузия просит спасти Илорский храм в Абхазии*. Получено из Кавказский Узел: https://www.kavkaz-uzel.eu/articles/177930/ [ნანახია: 07.05.2023]

Сергейцев, Т. (3 04 2022 г.). *Что Россия должна сделать с Украиной*. Получено из РИА Новости: https://ria.ru/20220403/ukraina-1781469605.html [ნანახია: 29.04.2023]

Соколова, Ю. (9 11 2022 г.). *400 лет лингвоцида: как Россия веками уничтожала украинский язык.* . Получено из Факты ICTV: https://fakty.com.ua/ru/ukraine/suspilstvo/20221109-400-rokiv-lingvoczydu-yak-rosiya-stolittyamy-nyshhyla-ukrayinsku-movu/ [ნანახია: 29.04.2023]

Чарквиани, Н. (12 04 2019 г.). *Тбилиси протестует против дискриминации грузин в Абхазии*. Получено из Голос Америки: https://www.golosameriki.com/a/georgians-discriminated-in-abkhazia/4873314.html [ნანახია: 29.04.2023]